
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86219140638214

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N140251368

რეგისტრაციის თარიღი

**19.03.2014 წ**

ნოტარიუსი: მაგდა კოსტავა
მისამართი: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია
ტელეფონი: +995 (595) 515 555

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ცხრამეტ მარტს მე, ნოტარიუსს მაგდა კოსტავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია, მომმართა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სალიჰ სელმან აპაიდინმა, როგორც **შპს „ფერმო ფენსი“-ს** (ს/კ 404856107) დამფუძნებელმა/დირექტორმა, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის № B12066267, მომზადების თარიღი: 22/05/2012, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

ვინაიდან მიმნდობი არ ფლობს ქართულ ენას, მან წარმოადგინა ინგლისური ენის თარჯიმანი **თინათინ ტაბატაძე** (პ/ნ 60003012263)

მე გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს, რის შემდეგაც მიიღო მონაწილეობა სანოტარო აქტის შედგენაში.

მე შევამოწმე მიმნდობის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბინადრობის მოწმობით დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე **სალიჰ სელმან აპაიდინმა** (დაბ. 12/03/1985 წელს თურქეთში, პ/ნ 01495000263, ბინადრობის მოწმობის/ნ 11TR06781, გაც: 11/07/2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. საქართველოში: ქ. თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც თარჯიმანმა გადაუთარგმნა მას ინგლისურ ენაზე. მან მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **სალიჰ სელმან აპაიდინმა** (დაბ. 12/03/1985 წელს თურქეთში, პ/ნ 01495000263, ბინადრობის მოწმობის/ნ 11TR06781, გაც: 11/07/2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. საქართველოში: ქ. თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5), როგორც **შპს „ფერმო ფენსი“-ს (ს/კ 404856107)** დამფუძნებელმა/დირექტორმა ამ მინდობილობით **ტარას ხიჯაკაძეს** (დაბ: 29.11.1964 წელს, პ/ნ 54001053882, მცხ: ჭიათურა სტალინის ქ. N 69) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

**ტარასი ხიჯაკაძე** უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, საკრებულოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, შეიტანოს საზოგადოების სახელით განცხადებები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, დოკუმენტი, ამონაწერი, მოწმობა, ასლი, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეათანხმოს ნაგებობის პროექტის შემუშავება, დამტკიცება, აიღოს ნებართვა მაგისტრალიდან სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი ორი საავტომობილო გზის გაყვანაზე, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, აწარმოოს ანგარიშსწორებები ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით გადანდობის უფლების გარეშე და შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაგდა კოსტავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

ამ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში თან ერთვის:
ნაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ნცხადების რეგისტრაციის № B12066267, მომზადების თარიღი: 22/05/2012.

№507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის სანოტარო მომსახურების საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის თანახმად გადახდილია 10.00 ლარი, აგრეთვე 2.00 ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა, აგრეთვე 1.80 ლარი თანახმად საქართველოს სანოტარო კოდექსის 169-ე მუხლისა.
სულ გადახდილია 13.80 ლარი.

მიმნდობი პირი:
შპს „ფერმო ფენსი“ (ს/კ 404856107)
დამფუძნებელი/დირექტორი
სალიჰ სელმან აბაიდინ Salih Selman Abaydın

თარჯიმანი:
თინათინ ტაბატაძე

ნოტარიუსი:
მაგდა კოსტავა

ნოტარიუსი მაგდა კოსტავა
U10080001365
NOTARY MAGDA KOSTAVA